ერთობლივი მოქმედება ერთმანეთის გასაძლიერებლად

სინერგია

ორშაბათი, 21 თებერვალი, 2011

რეზონანსის ყოველთვიური დამატება

№5

დევნილთა იძულებითი გამოსახლება: როცა „პროცედურები“ კანონზე მაღლა დგება

ნათია ახალაია

„მე ძალიან უბედური ვარ; ყოველდღე ვიღვიძებ იმ აზრით, რომ გამწარებული ვარ და თავს სახლიდან გამოგდებულად ვგრძნობ“ - ეს არის პირველი საჯარო გამოხმაურება საქართველოს პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის მხრიდან, რომელიც დევნილთა ბოლოდროინდელ მასობრივ გამოსახლებებს უკავშირდება (განცხადება გაკეთებულია 25 იანვარს, ტელეხიდში - „ხალხის შეკითხვებს პასუხობს პრეზიდენტი“). სწორედ გამოსახლებების მეორე ტალღის კვალდაკვალ, გულაჩუყებულმა ქვეყნის მეთაურმა შენიშნა, რომ არც ერთ ადამიანთან და ჯგუფთან არ აქვს ისეთი სოლიდარობისა და სრული გაიგივების განცდა, როგორც დევნილებთან: „ერთი-ორჯერ კამერამ დამიჭირა ცრემლებით... ბევრი უძილო ღამე გამიტარებია...“

* * *

„13 დეკემბერს მივიღეთ შეტყობინება, რომ თბილისში, ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობა ათ დღეში უნდა დაგვეცალა. ე.წ. გაფრთხილების ფურცელს არც ბეჭედი ჰქონდა და არც თარიღი იყო მითითებული. მეორე დღესვე მივმართეთ შესაბამის სახელისუფლებო უწყებებს, მაგრამ ყველგან საინფორმაციო ვაკუუმი გვხვდებოდა. 24 იანვარს კი ჩვენ ხელმეორედ გავხდით დევნილები“, - ეს იყო პირველი ინფორმაცია, რომლითაც დევნილ დედათა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი - ***ირმა გელანტია*** გამოვიდა 4 თებერვალს, დევნილი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის - „სინერგიის“ შეხვედრაზე.

აღნიშნული შეხვედრა სწორედ დევნილთა გრძელვადანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობების გამოთავისუფლებისა და მათი სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესს მიეძღვნა.

ამ პრობლემურ თემაზე მსჯელობის ძირითადი აქცენტები იყო დევნილთა გამოსახლების პროცესის ანალიზი, მისი სამართლებრივი ასპექტები, ასევე, სახელისუფლებო სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და ინტერესების ადვოკატირების არსებული და ახალი მექანიზმები.

* * *

როგორც ირკვევა, ხელისუფლება დევნილთა გამოსახლების პროცესში ხელმძღვანელობდა დოკუმენტით, რომელზეც, სხვათა შორის, არც დოკუმენტის მიმღებია მითითებული, არც ბეჭედი აქვს დასმული და დათარიღებულიც არ არის.

აღნიშნულ დოკუმენტს ასე ჰქვია: „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის ოპერაციის პროცედურა“, ანუ სოპ-ი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ (თავის მხრივ, ეს ორგანიზაცია ქსელ „სინერგიის“ წევრია) ხელმძღვანელი - ***პაატა ზაქარეიშვილი*** მიიჩნევს, რომ სოპში მთლიანად დარღვეულია იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ კანონის კონცეფცია:

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ კანონში (ერთ აბზაცში!) ჩადებულია მთელი კონცეფცია, თუ როგორ უნდა ექცეოდეს სახელმწიფო დევნილებს. კანონის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტში წერია, რომ საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით. ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე, საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე, დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება - გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, კერძოდ, როცა: დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება; გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ უარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით; დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით. თუკი დავა ჩნდება ამ პოზიციებში, დევნილები სასამართლოში უნდა წავიდნენ და არა - სოპში.

დასასრული მე-3 გვერდზე

როგორ აღმოჩნდნენ დევნილები პოლიციისა და დევნილთა სამინისტროს მსხვერპლნი

მანანა დარჯანია

შესაძლებელი იყო თუ არა, თავიდან აგვეცილებინა დევნილთა გამოსახლების უხეში ფორმები, რომელმაც საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია?

რასაკვირველია, შეიძლებოდა, რადგან საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული და საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, რომელიც 2007 წლის 24 აპრილს ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, დევნილთა უკანონო გამოსახლებამ გამოიწვია, სწორედ აქეთკენ იყო მიმართული.

მაშინ პოლიციამ, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ყოფილი სპეცავტომეურნეობის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები, ამ შენობის მეპატრონის მოთხოვნით, ქუჩაში გამოასახლა. მომხდარის გამო შეშფოთებას ვერ მალავდა არამარტო არასამთავრობო სექტორი, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომლებმაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია შეიმუშავეს და სადაც გარკვევით ჩაიწერა, რომ დევნილების კოლექტიური ცენტრებიდან გამოსახლება მათი უფლებების სრული დაცვით - მხოლოდ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფის ან ფულადი კომპენსაციის გაცემის შემდეგ უნდა მოხდეს.

დღეს შეიძლება გასაკვირიც იყოს, მაგრამ მაშინ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ჩინოვნიკები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დევნილების მხარეს იჭერდნენ და მომხდარის გამო პასუხისმგებლობასაც არ გაურბოდნენ. როგორც სამინისტროს წარმომადგენელი - ვალერი კოპალეიშვილი იმ დღეებში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, „სამწუხაროდ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ გააჩნდა რაიმე სამართლებრივი ბერკეტი, რომლითაც ის პოლიციის ქმედებას წინ აღუდგებოდა“.

მომხდარმა ფაქტმა მაშინვე გვიჩვენა, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლთან, ასევე, დევნილთა შესახებ კანონთან მიმართებით, რადგან ეს მუხლი შენობის კერძო მეპატრონეს უფლებას აძლევდა, დევნილები პოლიციის ძალით გამოესახლებინა. ამიტომაც არასამთავრობო ორგანიზაციების, პირველ რიგში, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, ძალისხმევა იქითკენ წარიმართა, რომ ამგვარი შემთხვევებისგან დევნილები მომავალში მაინც დაგვეცვა, რადგან საქართველოში დევნილებით ჩასახლებული შენობების თითქმის 70% კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაშია.

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსსა და პოლიციის შესახებ კანონში არსებული ცვლილებები კერძო მფლობელებს კვლავ მისცემდა საშუალებას, ეს კანონი დევნილთა გამოსახლების მიზნით გამოეყენებინა, რაც კვლავაც თავშესაფრის გარეშე დატოვებდა უამრავ ადამიანს.

ამიტომაც აუცილებელი იყო, შექმნილიყო რაიმე ნორმატივი, რათა განსახლებასთან დაკავშირებული ყველანაირი ქმედება სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეულიყო.

არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობას უშედეგოდ მართლაც არ ჩაუვლია. ამაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისით დათარიღებული №747 ბრძანება მეტყველებს. მასში აღნიშნულია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო აღნიშნული შეთანხმების წერილობითი ფორმით მიღებამდე უნდა შეჩერდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების აღსრულება.

№747-ე ბრძანებაში გამოსწორდა ის იურიდიული ხარვეზი, რომელიც დევნილების გასახლებისას ძალადობრივ ქმედების საფუძველი გახდა. ამ ბრძანებით უკვე გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსაც, რაც დევნილთა დაცვის დამატებითი ბერკეტი უნდა გამხდარიყო და დევნილთა განსახლების პროცესში მსგავსი პრეცედენტის დაშვების შესაძლებლობა ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილიყო.

გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ იმ ფაქტს, რომ არასამთავრობო სექტორის მოთხოვნა იყო, ასევე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შეემუშავებინა განსახლების წესი, რომელიც, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სამინისტროში არ არსებობდა. ჩვენი არგუმენტებით, სწორედ განსახლების წესს უნდა მიეცა უფლება დევნილებისთვის, დარეგისტრირებულიყვნენ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე. და სწორედ ასეთი მიდგომის შემდეგ, დევნილთა გამოსახლების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ყველა უწყება - სამინისტრო, კერძო მფლობელი უნდა დაქვემდებარებოდა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა როგორც დევნილთა შესახებ კანონთან, ასევე, სტრატეგიასთან. მაგრამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ არათუ განაახლა დევნილების დარეგისტრირება, პირიქით, გაურკვეველი ვადით გადადო იგი და არც განსახლების წესი შეიმუშავა, რითაც შეგნებულად აიცდინა ის ფუნქცია, რომელიც მას პოლიციის შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მიანიჭა. ანუ, სამინისტრო დღეს არათუ პოლიციის მიერ დევნილების უკანონო გამოსახლებისას დევნილების დამცველად, პირიქით, მათი გამოსახლების ინიციატორად მოგვევლინა. პოლიცია კი, თავის მხრივ, არა სასამართლო გადაწყვეტილების, არამედ დევნილთა სამინისტროს განკარგულების შემსრულებლად იქცა.

დასასრული მე-2 გვერდზე

ქსელ „სინერგიის“ ინიციატივა

დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი „სინერგია“, რომლის წევრებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პროცესში, უერთდება იმ პროტესტს, რომელიც საზოგადოებაში დევნილთა მასობრივმა იძულებითმა გამოსახლებამ გამოიწვია.

ვაცხადებთ, რომ უხეშად დაირღვა დევნილთა უფლებები და სტრატეგიით განსაზღვრული, დევნილებისათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის კრიტერიუმები. შექმნილი ვითარება მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციების სასწრაფო რეაგირებას დევნილთა განსახლების პროცესში უხეში მეთოდების გამოყენების გამო. ასევე საჭიროა, გაკეთდეს განსახლების მიმდინარე პროცესის: დევნილთა პრეტენზიების, მოთხოვნების ღრმა ანალიზი და მიღწეულ იქნას ოპტიმალური გამოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ აღმოვჩნდებით საერთაშორისო საზოგადოების მიერ დევნილთა მდგრადი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი თანხების არაეფექტურად ათვისების რეალური საფრთხისა და ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი უკმაყოფილო ადამიანის პროტესტის წინაშე.

ქსელი „სინერგია“ გამოდის ინიციატივით, სასწრაფოდ შეიქმნას დევნილთა პრობლემების ეფექტური გადაჭრით დაინტერესებული საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამთავრობო უწყებებთან, დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ლიდერებთან ერთად საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გამჭვირვალეს გახდის დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროცესს და მიიღებს ქმედით ზომებს იმისათვის, რომ განსახლების პროცესი მიმდინარეობდეს ცივილურ, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით დადგენილ ფარგლებში, დევნილთა უფლებების მაქსიმალურად დაცვის პირობებში.

„AMNESTY INTERNATIONAL“ შეშფოთებულია დევნილთა გამოსახლების გამო

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ - Amnesty International-მა შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ დევნილი ოჯახების ბოლოდროინდელი გამოსახლების პროცესმა „ვერ დააკმაყოფილა საერთაშორისო სტანდარტები“.

„Amnesty International“ შეშფოთებულია იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა გამოსახლებულებისთვის შესაბამისი წინასწარი შეტყობინების გაკეთება, ვერ უზრუნველყო ის, რომ ყველა შესაბამის ოჯახს მიეღო ფინანსური დახმარება გამოსახლებამდე და ასევე ვერ უზრუნველყო დამკვირვებელთა სრული და შეუფერხებელი დაშვება.

„Amnesty International“ ასევე შეშფოთებულია იმ ინფორმაციის გამო, რომ მთავრობის მიერ გამოსახლებულთათვის შეთავაზებული ყველა ალტერნატიული საცხოვრებელი სრულად ვერ აკმაყოფილებს ადეკვატურ საცხოვრებელ სტანდარტებს.

როგორ აღმოჩნდნენ დევნილები პოლიციისა და დევნილთა სამინისტროს მსხვერპლნი

გაგრძელება

რატომ მოხდა ასე? რატომ მიეკუთვნა სამინისტროს აღმასრულებლის ფუნქცია? რატომ შეიმუშავა სამინისტრომ, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, დევნილთა კანონთან შესაბამისი განსახლების წესის სანაცვლოდ, გამოსახლების ე.წ. „პროცედურები“, რომელიც მხოლოდ დევნილთა შენობიდან გამოყვანის (ზოგჯერ - უხეში) მექანიზმია და სხვა არაფერი? აი, კითხვები, რომელზეც პასუხი უნდა გაიცეს და შესაბამისი ცვლილებებიც უნდა მოხდეს.

სხვაობა განსახლების წესსა და პროცედურებს შორის არამარტო შინაარსობრივია, არამედ სამართლებრივიც: განსახლების წესი დევნილთა კანონთან უნისონში უნდა ყოფილიყო და დევნილი გამოსახლების ამგვარი ფორმებისაგან დაცული იქნებოდა, რადგან კანონი იმპერატიულია და იგი არავის გაუუქმებია; გარდა ამისა, მასში ეთიკის ნორმებიც თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებდა - მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ სამინისტროს მიერ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებამდე არსებობდა ბევრი შემთხვევა, როდესაც შენობებიდან დევნილების გამოსახლება დევნილთა კანონის ფარგლებში, მათი ინტერესების სრული დაცვით განხორციელდა.

ახლაც, ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილების მოლოდინში, დევნილები, ზოგი - ნებით, ზოგიც - თვითნებურად, თბილისში საცხოვრებლად სრულიად არაკომფორტულ შენობებში შესახლდნენ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, განსახლების პროცედურებში, რომელიც ადამიანების გარკვეული ჯგუფის მიერ არის შემუშავებული, არათუ დევნილთა კანონი და უფლებები ან ეთიკური ნორმებია გათვალისწინებული, არამედ გამოკვეთილია ცალსახა მიზანი: დევნილებისაგან შენობების გამოთავისუფლება: „დროებითი თავშესაფრიდან გამოსახლების შემთხვევაში, „ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი“ არ აძლევს დევნილს ამ ადგილზე ცხოვრების უფლებას“ (ასე მიიჩნევს პროცედურების შემმუშავებელი ერთ-ერთი ორგანიზაცია - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“). დიახ, სწორედ ასეა: დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სახელით შემუშავებული დევნილთა უპირობო გამოსახლების პროცედურების მიზანი დევნილების მხოლოდ შენობებიდან გამოყრაა და სხვა არაფერი, რადგან საცხოვრებლად შეთავაზებული ალტერნატივა არ პასუხობს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას და იმ სამოქმედო გეგმას, რომელიც დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათ ინტეგრაციასა და ღირსეულ ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს. სწორედ ამას ითხოვენ დევნილებიც, რომ ხელისუფლებას ისინი უპერსპექტივო გარემოში ჩასახლებით, საარსებო წყაროს გარეშე, საშიშილოდ არ გაეწირა. საზოგადოების სამართლიანი პროტესტიც ამაში მდგომარეობს.

ასეთი დასკვნის გამოტანას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ხელისუფლება ხელოვნურად ქმნიდა და დღესაც ქმნის პრობლემას დევნილების ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილებზე დარეგისტრირებასთან დაკავშირებით - დევნილთა დროებით საცხოვრებელ ადგილებზე გადამისამართების პროცესი, 5 წელზე მეტია, შეჩერებულია. იმიტომ ხომ არა, რომ დღევანდელ ვითარებაში კერძო მფლობელს და, პირველ რიგში, ხელისუფლებას ჰქონოდა მოტივაცია და კოლექტიურ ცენტრში თუ ამ სტატუსის არმქონე შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები, მაგრამ სხვაგან რეგისტრირებული დევნილები არაკანონიერ მაცხოვრებლებად, შეჭრილებად მოენათლა და შენობიდან პროცედურების თანახმად გამოესახლებინათ? მაგრამ ხელისუფლებამ თავისი ქმედებების კანონიერად წარმოჩენის მცდელობისას ვერ გითვალისწინა მის მიერვე დაშვებული შეცდომები - ის, რომ თავად ხელისუფლება აძლევდა „არალეგალურად“ მცხოვრებ დევნილებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ამ ადამიანების ხმებს, ალბათ, წარმატებით იყენებდა „საარჩევნო კარუსელშიც“.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კი, როგორც ოფიციალურად რეგისტრირებულ სხვა დევნილებს, ასევე, „არალეგალებად“ მონათლულებსაც, ელექტროენერგიაზე კუთვნილ შეღავათებს „არალეგალურ“ საცხოვრებელ მისამართებზე აძლევდა. და, რაც ყველაზე ყურადსაღებია, როგორც დღეს ამ შენობებიდან გამოძევებული დევნილები ამბობენ, ადგილობრივი არჩევნების დროს სახელისუფლებო პარტიის კანდიდატები მათ სწორედ ამ შენობებში ხვდებოდნენ და მათთვის ხმის მიცემის სანაცვლო დაპირებებში ყველაზე მთავარ დაპირებად ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილების დაკანონება სახელდებოდა.

2011 წლის იანვრის გამოსახლებები არის ნაწილი 2010 წლის აგვისტოში დაწყებული პროცესისა. გავიხსენოთ გასული წლის აგვისტო, როდესაც ანალოგიური ფორმებითა და მეთოდებით განხორციელდა დევნილების გამოსახლება გამომცემლობა „სამშობლოს“, ე.წ. „ზაკვოსა“ და კიდევ რამდენიმე, თბილისის ცენტრში დევნილების მიერ დაკავებული შენობებიდან. სწორედ მას შემდეგ გავიგეთ ფოცხო-ეწერის შესახებ, სადაც გამოსახლებულ დევნილებს ალტერნატიული საცხოვრებელი მისცეს და მთიან სამეგრელოში ღვთის ანაბრად მიატოვეს.

ფოცხო-ეწერში გადასახლებული დევნილების მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოჩენილმა გულგრილობამ, ქართულ საზოგადოებაზე მეტად, საერთაშორისო საზოგადოება აღაშფოთა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და ლტოლვილთა სამინისტროს პირდაპირ მიეთითა, რომ მათ დაარღვიეს დევნილებთან მიმართებით სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული მოთხოვნები, რადგან, თუ ფოცხო-ეწერის შეღებილი შენობების ფასადსა და ბინების ევროსტანდარტებთან ვითომ მიახლოებულ რემონტებს არ ჩავთვლით, იქ საარსებო გარემოსათვის შესატყვის ინფრასტრუქტურასა და ადამიანებისათვის ელემენტარული საარსებო წყაროს აუცილებლობაზე არავის უფიქრია. სწორედ ამაზე მიუთითა საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოებამ და უშუალოდ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა დევნილთა უფლებების დაცვის საკითხებში - ვალტერ კიელინმა, რომელმაც თავად მოინახულა ფოცხო-ეწერში ჩასახლებულები. ხელისუფლებამ კი, საერთაშორისო გულისწყრომა შემდგომაც რომ არ დაემსახურებინა, თბილისიდან დევნილების გამოსახლების პროცესი გარკვეული პერიოდით შეაჩერა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არა მიღებული შენიშვნების გასათვალისწინებლად, არამედ - გამოსახლების მკაცრი პროცედურების შესამუშავებლად. ამასობაში თბილი შემოდგომაც მიილია და სწორედ მაშინ, როდესაც ფოცხო-ეწერში ზამთრისთვის შეპირებული შეშის ღუმელების გარეშე დარჩენილი დევნილები სიცივისაგან ითოშებოდნენ, ხელისუფლებამ თბილისში დევნილების გამოსახლების ახალი, გაცილებით მძიმე ტალღა წამოიწყო.

მართლაც, შთამბეჭდავია თანხა, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდმა ევროკავშირის დაფინანსებით დახარჯა - 5.2 მილიონი ლარი, რათა 2010 წელს გაერემონტებინა ფოცხო-ეწერში მდებარე სამი შენობის 382 ბინა“.

ცნობისათვის დავძენთ, რომ ფოცხო-ეწერში „გადასახლებულთაგან“ უმრავლესობამ ბინები გამოკეტა და კვლავ ქალაქს მოაშურა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, ხოლოდ დარჩენილი 11 ოჯახი, მათ შორის, ჩვილბავშვიანები, უკიდურეს გაჭირვებაში არიან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის (მათ შორის, ჩვენი ქსელის - „სინერგიის“) შემოწირულობებით ირჩენენ თავს. მაგრამ - როდემდე? დღესაც ასეთივე, ინფრასტრუქტურამოშლილ ადგილებში სთავაზობენ დევნილებს ალტერნატიულ საცხოვრისს. უმრავლესობა არ თანხმდება და თბილისში ბინის დაქირავებას არჩევს, მაგრამ უძრავი ქონების ბაზარი ამ პროცესზე სწრაფად რეაგირებს და როგორც უსახლკაროდ დარჩენილი, სამინისტროს ეზოში, კარვებში მცხოვრები დევნილები გვეუბნებიან, ქირის გადახდის საშუალება უკვე აღარ აქვთ.

მხოლოდ თბილისის მასშტაბით, 21 დროებით თავშესაფარში მცხოვრები დაახლოებით 600 დევნილი ოჯახი ახალი პროცედურების გათვალისწინებით უკვე გამოასახლეს. უახლოეს მომავალში გამოსახლების პროცესი გაგრძელდება როგორც თბილისში, ასევე, გორში.

საზოგადოების ის ნაწილიც კი, ვინც ადრე დევნილების მიმართ აგრესიული იყო, დღეს მათ თანაუგრძნობს. თანაუგრძნობს არა იმიტომ, რომ ყველა დევნილმა თბილისში უნდა იცხოვროს; არც იმიტომ, რომ დევნილთა გარკვეული კატეგორია მართლაც კანონდარღვევით ითხოვს დამატებით საცხოვრისს თუ კომპენსაციას; არამედ იმიტომ, რომ დევნილთა გამოსახლების პროცედურების ასეთი ფორმაც და შედეგებიც ყოველგვარ ნორმებს სცილდება.

დევნილთა იძულებითი გამოსახლება: როცა „პროცედურები“ კანონზე მაღლა დგება

გაგრძელება

კანონის სულისკვეთება არის, მაქსიმალურად დაიცვას დევნილი და განსაკუთრებულ გამონაკლისამდე დაიყვანოს მისი გამოსახლება, სოპ-ის სულისკვეთება კი არის, კონვეირად აქციოს დევნილების გამოსახლების გარდაუვალი პროცესი“.

„მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ასპექტი, რომლითაც სოპ-ი კანონს ეწინააღმდეგება: მასში შეტანილია ცნება „ადეკვატური გრძელვადიანი საცხოვრებელი“. არსად არის ნახსენები ტერმინი „კომპაქტური განსახლების ობიექტი“, რომელსაც დევნილთა შესახებ კანონი აყალიბებს. კანონში არ არის ჩადებული დევნილების მიერ მოპოვებული ფართის საკუთრებაში გადაცემის ცნება. ადეკვატური გრძელვადიანი საცხოვრებელი ასეა განმარტებული: „საცხოვრებელი ფართი, რომელიც დევნილს საკუთრებაში გადაეცემა“. საინტერესოა, როგორ უნდა დაიჯერონ დევნილებმა, რომ რაღაც ფართი მათი საკუთრებაა - იმის გათვალისწინებით, რომ სოპ-ს არანაირი იურიდიული დაცვა არ აქვს?“ - ამბობს ზაქარეიშვილი და დასძენს, რომ: „სოპ-ში დევნილების დაბრუნებაზეც არაფერი წერია; არ წერია, რომ მათ რაღაც უფლებები აქვთ დაბრუნებამდე. ის, რაც კანონში, ერთ წინადადებაში წერია, არ წერია სოპ-ში, რომელიც თხუთმეტ გვერდს მოიცავს!“

ნიშანდობლივია ისიც, რომ, სოპ-ის მიხედვით, „დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის მიზანია მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა“. ქსელის შეხვედრაზე შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი შეშფოთებას გამოხატავდნენ სწორედ იმის გამო, რომ ყველა საცხოვრებელი ფართი დევნილებს მხოლოდ ულირს პირობებს უქმნის ცხოვრებისათვის. უფრო მეტიც, სოპ-ის მიხედვით, „შენობის გამოთავისუფლების დროს ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა დევნილები არ დარჩნენ უსახლკაროდ, მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე“. ეს პოზიცია აბსოლუტურად არღვევს კანონის კონცეფციას - რომ არ გაუარესდება დევნლის საყოფაცხოვრებო პირობები. გამოდის, რომ, თუკი კანონის თანახმად, დევნილების საყოფაცხოვრებო პირობები არ უნდა გაუარესდეს, სოპ-ისთვის მიხედვით, მთავარია, ის უსახლკაროდ არ დარჩეს და არ აქვს მნიშვნელობა, სად შეასახლებენ დევნილებს. მინისტრი სუბელიანიც სწორედ ამაზე აპელირებს, როცა გამუდმებით აცხადებს, - ჩვენ ამ ხალხს უსახლკაროდ არ დავტოვებთო.

კანონის უზენაესობის უგულვებელყოფის პირდაპირი მაგალითია სოპ-ის კიდევ ერთი პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ გრძელვადიან საცხოვრებელში გადაყვანილი დევნილის საცხოვრებელი პირობები უნდა შეესაბამებოდეს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმატიული ნორმა ადგენს. ეს ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციას, ამ ადამიანებს ელექტრონული ფოსტით ორგანიზაციის წარმომადგენლისგან - დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიზნით, თუმცა კითხვები არ მოსულა და განცხადება სამინისტროს პოზიციების გათვალისწინების გარეშე გამოქვეყნდა. ეს ფაქტი მით უფრო სამწუხაროა, რამდენადაც ორგანიზაციასთან ჩვენ მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობა გვაკავშირებს და სამინისტროს არაერთხელ მიუწოდებია დეტალური ინფორმაცია მიმდინარე ან მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებით“.

შეხვედრას არ ესწრებოდა მოწვეული სტუმარი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან - ვალერი კოპალეიშვილი.

> „კანონის სულისკვეთება არის, მაქსიმალურად დაიცვას დევნილი და განსაკუთრებულ გამონაკლისამდე დაიყვანოს მისი გამოსახლება, სოპ-ის სულისკვეთება კი არის, კონვეირად აქციოს დევნილების გამოსახლების გარდაუვალი პროცესი“.

რეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს. ეს პოზიცია დევნილთა მოწყვლად კატეგორიას უკავშირდება. დოკუმენტის მიხედვით, მიჩნეულია, რომ ინვალიდების მიმართ უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური შეთავაზებები. როგორც ჩანს, ინვალიდის ეტლში უნდა იჯდე, ხელისუფლების ყურადღების ღირსი რომ გახდე.

კიდევ ერთი გასათვალისწინებელი დეტალი: სოპ-ის მიხედვით, გამოსახლებასთან დაკავშირებით პოლიციისთვის ნებართვის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, დაკმაყოფილდა თუ არა დევნილი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით თუ შესაბამისი კომპენსაციით. ასე რომ, თურმე, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ალტერნატიული ფართი აუარესებს თუ არა დევნილის საყოფაცხოვრებო პირობებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის, ნონა ქურდოვანიძის შეფასება კი ასეთია: „სამწუხაროდ, სამინისტრომ სოპ-ის პროცედურები დაარღვია. ჩვენ ამაზე საუბარი უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ვიდრე სოპ-ის კრიტიკა - იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, იარსებებდა თუ არა სოპ-ი, გამოსახლება მაინც მოხდებოდა. სოპ-ი არ არის ნორმატიული აქტი, ის არის სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტი“.

ვახტანგ ყოლბაია, ფონდი „კავკასიური დიალოგი“: „შენობებიდან იძულებით გამოსასახლებელ ადამიანებს სახელმწიფომ, პირველ რიგში, თავშესაფრის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია უნდა შესთავაზოს და არა ახალი თავშესაფარი იმ ადგილებში, სადაც ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მაგრამ ფულად კომპენსაციაზე სამინისტრო მათ ცალსახა უარს ეუბნება, რადგან ამ ადამიანებს კერძო სექტორის მცხოვრებლებად მიიჩნევს, ამ კატეგორიის დევნილთა დაკმაყოფილებას კი სამინისტრო ჯერ არ განიხილავს. ეს ძალზე სუსტი არგუმენტია და ლახავს იმ დევნილთა უფლებებს, რომლებმაც უარი თქვეს რეგიონებში გადასვლაზე და, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩნენ. ამ შეცდომის აღიარება კი არც ხელისუფლებას და არც პროცედურების შემქმნელ საერთაშორისო ორგანიზაციებს სურთ.

ამ ადამიანებს ხელისუფლების არაკანონიერი ქმედებებისგან დაცვა სჭირდებათ. ფაქტია, რომ გამოსახლებული დევნილების უმრავლესობა ხელისუფლების ნებით შესახლდა იმ შენობებში და რამდენიმეწელი იცხოვრეს. მაგრამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ისინი შეგნებულად არ დაარეგისტრირა ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე, რათა შემდეგ შეჭრილებად, არალეგალურ მაცხოვრებლებად გამოეცხადებინათ და გაესახლებინათ“.

ქსელის წევრი ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ, თუკი კანონის დარღვევით გამოსახლებული დევნილები სასამართლოში სარჩელებს შეიტანენ, ორ-სამ წელიწადში ისინი მიზანს მიაღწევენ. მათი აზრით, ეს საკითხი ძალიან მგრძნობიარეა სტრასბურგის სასამართლოსთვის.

* * *

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქსელის შეხვედრაზე განიხილებოდა, საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 24 იანვარს გავრცელებულ პუბლიკაციას უკავშირდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ დევნილთა გამოსახლების პროცესს აკვირდება. აღნიშნული სტატია ამ ორგანიზაციამ დევნილთა გამოსახლებების პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა. ***პაატა ზაქარეიშვილი*** კრიტიკულად აფასებს მის პუბლიკაციას და მიიჩნევს, რომ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ასეთი პოზიცია საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის კონტექსტში განიხილება. მისი თქმით, სტატია პოლიტიკურად ანგაჟირებულია, რადგან მასში პირველივე ფრაზაში ხაზგასმულია, რომ დევნილთა გამოსახლებას „საპროტესტო აქციები და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ ამ საკითხით მანიპულირება მოჰყვა“.

პ. ზაქარეიშვილი: „კარგად მესმის, რომ ამ დონის საერთაშორისო ორგანიზაციებმა მთავრობები საჯაროდ არ უნდა აკრიტიკონ. მაგრამ რატომ აკრიტიკებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ოპოზიციას? მე მომეჩვენა (და იმედია, მხოლოდ მომეჩვენა), რომ ამით მან ხელისუფლებას გული მოულბო. ცალსახაა, რომ დევნილების გამოსახლების თემის განხილვის დროს ოპოზიციაზე საუბარი ნამდვილად არ შედიოდა საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებამოსილებაში.

პუბლიკაციაში აშკარად ჩანს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ პრეტენზია, აგვიხსნას ის პრობლემური საკითხები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დევნილთა გამოსახლების კონტექსტში. და ძალიან ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში არ არის ნახსენები, თუ როგორ ეწინააღმდეგება სოპ-ი კანონის სულისკვეთებას. ამ შეფასებას კი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან მე ყველაზე მეტად ველოდებოდი. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ „პროცედურები ახდენენ ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის ერთ დოკუმენტში თავმოყრას“. ჩემთვის კი დღემდე გაურკვეველია, ვინ დაამტკიცა ეს პროცედურები. მასზე არც თარიღია მითითებული, არც ბეჭედი აქვს დასმული. ან, როგორ შეიძლება, ამ დოკუმენტმა თავის თავში მოახდინოს მთელი კანონმდებლობის თავმოყრა - მაშინ, როდესაც, მისი უდიდესი ნაწილი ეწინააღმდეგება კანონის სულისკვეთებას?

სტატიაში წერია ისიც, რომ „600 დევნილი ოჯახი ახალი პროცედურების გათვალისწინებით უნდა გამოასახლონ“. ეს ეწინააღმდეგება თუ არა კანონს? კანონის შესაბამისად უნდა გამოასახლონ თუ - პროცედურების შესაბამისად?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ლექციას გვიკითხავს, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის დასახლება და მოგვიწოდებს, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ორი სხვადასხვა ტიპის დასახლება - კომპაქტური განსახლების ობიექტი და დროებითი თავშესაფარი. მაშინ, როცა კანონს იღებდნენ, ასეთი ცნებები არ არსებობდა.

ისევ ციტატა: „დღესდღეობით მიმდინარე გამოსახლებები ეხება დროებით თავშესაფრებში არალეგალურად მცხოვრებ დევნილებს. არ უნდა მოხდეს ამ პროცესისა და კომპაქტურად განსახლების ობიექტიდან გამოსახლების პროცესის არევა“. ყველაზე მეტად „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ამ პოზიციამ შეგაშფოთა. ეს ის პათოსია, რასაც მინისტრი სუბელიანი გამუდმებით ახმოვანებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა დევნილი არალეგალურად გახდა იმ ფართის მფლობელი, რომელზეც შემდეგ სახელმწიფომ ზრუნვა განახორციელა. თუკი ამ კუთხით მივუდგებით, კომპაქტურად ჩასახლებული ნებისმიერი დევნილის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ეს პოზიცია. და გადაამოწმა „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“, კონკრეტულად, ვინ არის უკანონოდ შესახლებული და ვინ - კანონიერად? საერთაშორისო გამჭვირვალობამ“, ამ შეფასებით, სამინისტროს პოზიცია გადმოამღერა. ეს ძალიან უსამართლო შეფასებაა“.

„როგორც ვხვდები, თქვენ პოლიტიკური პარტიიდან ხართ“, - სტატიის ერთ-ერთი ავტორი - ქნი ***ქეითლინ რაიენი*** ზაქარეიშვილის კრიტიკულ შენიშვნებზე ასეთი პასუხით შემოიფარგლა.

ვახტანგ ყოლბაიამ წინადადებით მიმართა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენლებს, აღნიშნული ორგანიზაციის მონაწილეობით შეიქმნას ჯგუფი, რომელიც მომავალში მაინც გაუწევს საფუძვლიან მონიტორინგს დევნილთა გამოსახლების პროცესს; შეისწავლოს და შეაფასოს ის ადგილები, სადაც დევნილთა ჩასახლება იგეგმება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელმა, ***ლაშა გოგიძემ*** შეხვედრაზე განაცხადა, რომ დევნილთა გამოსახლება განხორციელდება კიდევ ორი ობიექტიდან: ვარკეთილში მდებარე 204-ე ბაგა-ბაღიდან და ყაზბეგის 16-ში მდებარე ინფექციური საავადმყოფოდან. დევნილთა გამოსახლება მოხდება, ასევე, გორში მდებარე 19 დროებითი თავშესაფრიდან.

როგორ შეიძლება, წარიმართოს დევნილთა შემდგომი განსახლების პროცესი? ამ კონტექსტში, ძალზე ნიშანდობლივია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება, რომლითაც აღნიშნული უწყება, ვებ-გვერდის საშუალებით, საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეშენალის“ კრიტიკას ეხმაურება:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მიესალმება „ემნესტი ინტერნეშენალის“ დაინტერესებას დევნილთა განსახლების პროცესის მიმართ, თუმცა, ამასთანავე, გამოთქვამს წუხილს, რომ მათ მიერ ამ თემაზე გაკეთებული განცხადება არის ცალმხრივი, სუბიექტური და არასამართლიანი. როგორც მათი განცხადებიდან ჩანს, ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეშენალს“ არ გააჩნია სრული ინფორმაცია ამ კონკრეტული განსახლების პროცესთან დაკავშირებით. პროცესის დაწყებისთანავე სამინისტრო ელოდა (სატელეფონო შეთანხმებისამებრ) შეკითხვებს ელექტრონული ფოსტით ორგანიზაციის წარმომადგენლისგან - დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიზნით, თუმცა კითხვები არ მოსულა და განცხადება სამინისტროს პოზიციების გათვალისწინების გარეშე გამოქვეყნდა. ეს ფაქტი მით უფრო სამწუხაროა, რამდენადაც ორგანიზაციასთან ჩვენ მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობა გვაკავშირებს და სამინისტროს არაერთხელ მიუწოდებია დეტალური ინფორმაცია მიმდინარე ან მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებით“.

შეხვედრას არ ესწრებოდა მოწვეული სტუმარი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან - ვალერი კოპალეიშვილი.

ქსელი „სინერგია“ მხარს უჭერს ვეტერანებს

აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი „სინერგია“ მადლობას უხდის აშშ-ის ელჩს საქართველოში - ჯონ ბასს, რომელმაც თბილისში, 3 იანვარს, გმირთა მოედანზე ვეტერანთა დარბევის გამო შეშფოთება გამოხატა და სწორად შეაფასა მომხდარ ფაქტი.

ასევე, მომხდართან დაკავშირებით გვსურს, საზოგადოებას ვუამბოთ ომის ვეტერანების მიმართ პატივისცემის ტრადიციაზე, რომელსაც, დღევანდელი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ქართველი და აფხაზი ხალხი, მიუხედავად მათ შორის მომხდარი სისხლიანი დაპირისპირებისა, უფრთხილდება:

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ჭურვებმა ზღვის სანაპიროზე აღმართული, სამამულო ომში დაღუპული აფხაზი პოეტის - იუა კოღონიასა და შინმოუსვლელი უცნობი ჯარისკაცის ძეგლები დააზიანა. მაშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით სამამულო ომის ქართველმა და აფხაზმა ვეტერანებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, საზოგადოებას თანამემამულეთა ხსოვნისა და ზნეობრივი პრინციპების დაცვისაკენ მოუწოდეს.

გარდა ამისა, ქართულ-აფხაზური დაპირისპირების პერიოდიდან, აფხაზეთის მოსახლეობას და ომში მონაწილე ქართველ და აფხაზ მეომრებს ერთმანეთის დანდობისა და ზნეობრივი საქციელის არაერთი შემთხვევის გახსენება შეუძლიათ. სწორედ ასეთმა ფაქტებმა მისცა ბიძგი ომის შემდგომ პერიოდში ქართველი და აფხაზი ექსკომბატანტების სამშვიდობო შეხვედრებს, ნდობის ხიდების აღდგენის მცდელობებს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე ორიენტირებული ქსელი „სინერგია“ მიიჩნევს, რომ გამყოფ ხაზს მიღმა მდგარ საზოგადოებებს, ყოფილ მეომრებს ერთმანეთის მიმართ პატივისცემა არ დაუკარგავთ. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან მიმართებით.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები მოშიმშილეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გასამართლებლად ვეტერანებს ქვეყნის სიმბოლიკის შეურაცხყოფაში სწამებენ ცილს.

ნაციონალური ტელეარხების მიერ მომხდარი ფაქტის მიჩქმალვის მცდელობის მიუხედავად, დღეს, საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, სახალხო დამცველი მოითხოვენ, რომ დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ამ დანაშაულებრივ ქმედებაში მიიღეს მონაწილეობა და მოშიმშილეთა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ ძალადობას მიმართეს.

პარალელურად, საქართველოს ვეტერანთა კავშირში აქტიურად განიხილება ვეტერანთა მიერ დაყენებული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობის საკითხი. როგორც ჩანს, ხელისუფლება ამას გარკვეული „კეთილი“ ჟესტით უპასუხებს და შეეცდება, ჩადენილი ქმედება ვეტერანებისათვის უმნიშვნელო შეღავათების დაწესებით გადაფაროს.

ვეტერანთა თანადგომა საზოგადოების ღირსების საქმეა. ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ ვეტერანებმა, უპირველესად, მორალური კომპენსაცია მიიღონ და საზოგადოებისაგან თავი საბოლოოდ გარიყულებად არ იგრძნონ, მათ წინაშე ბოდიშის მოხდაა საჭირო. ბოდიში კი, პირველ რიგში, ქვეყნის მთავარსარდალს აქვს მოსახდელი.

ქსელ „სინერგიაში“ გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციები და პიროვნებები:
„აფხაზინტერკონტი“ - ქუთაისი; „ახალგაზრდები სამოქალაქო ინტერესებისათვის“ - ზუგდიდი; „დევნილი ქალები თავიანთი უფლებებისათვის“ - ზუგდიდი; „წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი“ - წყალტუბო; „დაეხმარე საკუთარ თავს“ - თბილისი; „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“ - თბილისი; „საუნჯე“ - ზუგდიდი; ქართულ-აფხაზური კავშირი „პირისპირ“ - თბილისი; ჟურნალისტთა ასოციაცია „პოსტფაქტუმი“ - თბილისი; სტუდია „რე“ - თბილისი; მარინა ელბაქიძე - ფსიქოლოგი.

რა შეიძლება შეიცვალოს ომის ვეტერანების სოციალურ მდგომარეობაში?

კახა კვაშილავა

ვეტერანებისთვის მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხებზე ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ჯანრი უბირია გვესაუბრება.

- ვეტერანთა ნაწილი მოითხოვს იმ შეღავათების აღდგენას, რომლითაც ისინი ხუთი წლის წინ სარგებლობდნენ. განიხილება თუ არა ვეტერანებისთვის ახალი სოციალური და ეკონომიკური შეღავათების მინიჭების საკითხი?

- თავის დროზე, ძალიან ბევრი შეღავათი ვეტერანებისთვის მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. თუმცა, იყო ისეთი პირობები, რომლებითაც მეომრები და მათი ოჯახები რეალურად სარგებლობდნენ. ეს ეხებოდა ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით სარგებლობას. 2005 წლის 23 დეკემბერს, კანონში, რომელიც ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების უფლებებს იცავდა, ცვლილებები შევიდა და აღნიშნული შეღავათები გაუქმდა. ამან მაშინაც გამოიწვია ვეტერანთა პროტესტი.

ამასთან, „ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანაში ვეტერანის უფლებებით დაახლოებით 246 ათას ადამიანამდე სარგებლობდა. ბუნებრივია, ჩანს, რომ ამ კატეგორიის ადამიანთა რიცხვი ხელოვნურად იყო გაზრდილი.

ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ, გვაქვს რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ციფრი - 90-იანი წლების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების რაოდენობა 30 ათასამდეა. შეიძლება, რაღაც ნაწილი ამ სიის მიღმა დარჩა - ის, ვინც ემიგრაციაში იმყოფება. 2008 წლის ომის მონაწილეთა რეგისტრაცია და ვეტერანის სტატუსის მინიჭება კი ახლა იწყება.

თუკი აქამდე მხოლოდ თბილისში მცხოვრებ ვეტერანს შეეძლო მიეღო ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზით სარგებლობის შეღავათები, ახალი რეგისტრაციის შემდეგ, დადგინდა, რომ ეს შეღავათი მონეტიზირებული ყოფილიყო და საქართველოში მცხოვრები ყველა ვეტერანი, მიუხედავად იმისა, სარგებლობს ის გაზით თუ არა, იღებს შესაბამის სოციალურ სუბსიდიას. შეღავათი ომის მონაწილისათვის 22 ლარს შეადგენს, ომში დაღუპულის ოჯახის წევრისათვის - 44 ლარს, ამდენივე ეკუთვნით II მსოფლიო ომის ვეტერანებს, ომის ინვალიდებს და ა. შ. იქიდან გამომდინარე, რომ გაზისა და დენის გადასახადები გაიზარდა, ჩვენ წარდგენილი გვაქვს კანონპროექტი შესაბამისი კალკულაციითა და მოთხოვნებით.

წარდგენილი გვაქვს რამდენიმე სხვა კანონპროექტიც, კერძოდ: ჩვენი მოსაზრებით, საჭიროა, არსებობდეს სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც იქნება, ასე ვთქვათ, ვეტერანთა „კონსტიტუცია“. მან უნდა დაარეგულიროს სახელმწიფოსა და ვეტერანთა ურთიერთობები.

ჩვენ მიერწარდგენილი რამდენიმე პროექტი დამტკიცდა კიდეც: თუკი ომის I და II ჯგუფის ინვალიდები იღებდნენ პენსიას 84 ლარის ოდენობით, ახლა იგი 129 ლარამდე გაიზარდა.

2005 წელს მიღებული იქნა კიდევ ერთი მცდარი გადაწყვეტილება, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა შრომისუნარიანი და შრომისუუნარო ვეტერანები. შედეგად, ყოფილი მეომარი, რომელიც შრომისუნარიანად ჩაითვალა, ვერ იღებს საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს. ჩვენ ამ შეზღუდვის გაუქმებას ვითხოვთ და იმედი გვაქვს, რომ კანონში შესაბამისი შესწორება მიღებული იქნება.

დღეს ომის მონაწილე 3000-ლარიანი საშემოსავლო შეღავათით სარგებლობს. ჩვენ ამ შეღავათის გაზრდაზეც ვმუშაობთ და კანონპროექტის ერთ-ერთ მუხლადაც გვაქვს წარდგენილი. განზრახული გვაქვს, ასევე, ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისთვის პენსიების გაზრდა. თუმცა, პირველ რიგში, მაინც ომში დაღუპულთა ოჯახების საკითხია აქტუალური.

- ამას წინათ, გმირთა მოედანზე მოშიმშილე ვეტერანები ვეტერანთა ჰოსპიტალთან დაკავშირებულ პრობლემაზეც საუბრობდნენ. ამ საკითხზე რა შეგიძლიათ, გვითხრათ?

- გასული წლის ბიუჯეტში ვეტერანთა საჰოსპიტალო მომსახურებისთვის 800 000 ლარი იყო გამოყოფილი. ეს სატენდერო პროგრამა იყო. მასში ვეტერანთა ჰოსპიტალმა გაიმარჯვა. იგი, შესაძლებლობის ფარგლებში, მეომრებს უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევდა, მათ შორის, ფინანსდებოდა ოპერაციები, რომელთა ღირებულება 200-დან 5000-მდე ლარს შეადგენდა. გავრცელდა მცდარი ინფორმაცია, თითქოს ვეტერანებისთვის ეს მომსახურება გაუქმდა. ბუნებრივია, ამან ვეტერანთა გულისწყრომა გამოიწვია. ჰოსპიტალი არ გაუქმებულა; ის განაგრძობს ფუნქციონირებას.

- თქვენ როგორ აფასებთ აღნიშნული ჰოსპიტლის მომსახურების ხარისხს? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვეტერანები მის მიმართ განსაკუთრებულ კმაყოფილებას არ გამოხატავენ.

- რა თქმა უნდა, ვეტერანებს შორის უკმაყოფილონიც არიან, რადგან 800 000 ლარი სრულყოფილი მომსახურებისთვის საკმარისი თანხა არ არის. უკმაყოფილებას ისიც იწვევს, რომ ჰოსპიტალში, ძირითადად, თერაპიულ და ქირურგიულ მკურნალობას სთავაზობენ პაციენტებს. თუმცა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰოსპიტალს სჭირდება მეტი სახსრები.

შეიძლებოდა თუ არა დევნილების იძულებით გასახლების თავიდან აცილება?

მომხრე
ლია მუხაშავრია
ადვოკატი, ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ თავმჯდომარე

იძულებით განსახლებას თავიდან ავიცილებდით, თუკი მთავრობა მასზე დაკისრებულ კანონით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას ზედმიწევნით შეასრულებდა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებულ პროცედურებს დაიცავდა.

შეთანხმებაში წერია, რომ დევნილები გამოსახლებამდე ერთი თვით ადრე უნდა გააფრთხილო, შემდეგ შესთავაზო საცხოვრებლის, მინიმუმ, ორი ალტერნატივა. სანამ გააფრთხილებ და გამოსახლებას შეატყობინებ, ვისაც ეკუთვნის, უნდა გადაუხადო მატერიალური კომპენსაცია. თუკი ეს წესები ზედმიწევნით არ სრულდება, ადამიანის ნაცვლად წყვეტ, სად უნდა გადასახლდეს და მოსაფიქრებლად საკმარის დროსაც არ აძლევ, იგი შეურაცხყოფილი რჩება. თანაც, ჩვენ არ ვსაუბრობთ ჩვეულებრივ ადამიანებზე, ეს ხალხი ომგამოვლილი მოქალაქეები არიან, ბევრ მათგანს, განსაკუთრებით, აფხაზეთიდან დევნილებს, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციაც კი არ გაუვლიათ. ამიტომ განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ. განსახლება არ უნდა მომხდარიყო იანვრის სუსხიან ამინდში. მარტის ბოლოსთვის რომ დაეგეგმათ, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა. უნდა შეესწავლათ ოჯახების ინდივიდუალური მდგომარეობა. ზოგი მათგანი მწოლიარე ავადმყოფია, ზოგს პატარა შვილები ჰყავს, ზოგი გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს. არ იყო აუცილებელი ასეთი მასობრივი ფორმით განსახლებაც; ზოგისთვის უნდა მიეცათ საშუალება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოგვიანებით დაეტოვებინა თავშესაფარი. როცა ადამიანი ყურადღებას და თანაგრძნობას ხედავს, უფრო დამთმობი ხდება.

დევნილების ნაწილი ჩავიდა მათთვის შეთავაზებულ სოფლებში, გაარკვიეს, იქ რა პირობები იყო და ბევრი უკან დაბრუნდა. თავშესაფარი არ გულისხმობს მხოლოდ თავზე ჭერს, გარემონტებულ კედლებს ან ახალ ონკანს. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელმისაწვდომობაც, ინფრასტრუქტურა. ამ სოფლებში ადამიანებს არ აქვთ დასამუშავებელი მიწა, ქალაქში თვითდასაქმებით ირჩენენ თავს, სოფელში კი ამის საშუალება არ ექნებათ. ისინი არ ამბობენ, მაინცდამაინც თბილისი გვინდაო, მაგრამ იქ ვერ მიდიან, რადგან 28 ლარით იქ ცხოვრებას ვერ შეძლებენ. სწორედ ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გამო, დევნილებს გაუჩნდათ განცდა, რომ ისინი სახელმწიფოს არ სჭირდება.

მოწინააღმდეგე
გია ნოდია
პოლიტოლოგი

დევნილების იძულებით განსახლებას თავიდან ვერ ავიცილებდით. ყოველ შემთხვევაში, ამის გაუკეთებლობა არასწორი იქნებოდა. როგორც ჩანს, დევნილების ნაწილმა ჩათვალა, რომ მათ შეეძლოთ, საპრივატიზაციო თუ პრივატიზებული შენობები დაეკავებინათ და, არასასურველი პოლიტიკური რეზონანსის გამო, ხელისუფლება ვერ გაბედავდა მათ გასახლებას. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება საზოგადოებაში წაახალისებდა შეხედულებას, რომ თუკი გაჭირვებული ადამიანი ხარ და პოლიტიკურად მომგებიანი სტატუსი გაქვს, შეგიძლია, ძალით დაიკავო სხვისი საკუთრება და ეს „შეგრჩეს“. მთავრობა კი ვალდებულია, დაიცვას საკუთრება, პოლიტიკურად მომგებიანია ეს თუ არა. ეს არ ნიშნავს, რომ დევნილების მიმართ ადამიანური თანაგრძნობა არ გაგიჩნდეს, ან რომ გასახლების პროცესის ცალკეული ასპექტები არ გააკრიტიკო. ჩემი აზრით, პირველ რიგში, კრიტიკას ვერ უძლებს ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა, შემიძლია, ვენდო სახალხო დამცველს, რომ დევნილები დროულად ინფორმირებულნი არ იყვნენ - თუმცა, ეს ზუსტად არ ვიცი. მაგრამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მთლიანად საზოგადოებასაც უნდა უთხრას - რას, რატომ და როგორ აკეთებს. პროცესის მონიტორინგში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა კარგია, მაგრამ სრულიად არასაკმარისი. აგრეთვე, შეიძლება, საფუძვლიანი იყოს შენიშვნები, რომ დევნილებს სათანადო პირობებს არ უქმნიან იქ, სადაც გადასვლას სთავაზობენ. ამაში კოპეტენტური არა ვარ. მაგრამ ხანდახან ასეთი კრიტიკა მაღიზიანებს.

„ლიბერალი“ აღშფოთებით წერდა, რომ დევნილთა შვილებს სკოლაში ორი კილომეტრი ფეხით მოუწევთ სიარული. ცუდია, კი. მაგრამ, სამწუხაროდ„ საქართველოს სოფლებში ეს ჩვეულებრივი ამბავია. როცა დევნილების პოლიტიკას ვაფასებთ, უნდა გავითვალისწინოთ, სად ვცხოვრობთ და რის გაკეთება შეგვიძლია, როგორც ქვეყანას. რაკი რამდენიმე ასეული ოჯახი მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ საქართველოში ყველაზე მეტად უჭირთ. შეიძლება, სხვებს, დევნილებს თუ არადევნილებს, უფრო უჭირთ. უსამართლოა, მაინცდამაინც ამ ხალხისთვის მოვთხოვოთ ხელისუფლებას კომფორტის უმაღლესი სტანდარტების შექმნა.

გაზეთი „სინერგია“ გამოდის დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან არსებული საერთაშორისო განვითარების ფონდისა (UKAID) და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.